ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 10

ქ. თბილისი 16 ნოემბერი 2007 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ გახსნა სხდომა.

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 22 წევრი:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი
2. მიხეილ ჩიკვილაძე
3. ქეთევან მარშავა
4. ნუგზარ თოდუა
5. სოფიო ქვარცხავა
6. ქეთევან მჭედლიშვილი
7. დავით კერესელიძე
8. შოთა სამსონია
9. კობა გელაშვილი
10. ამირან ბიბილაშვილი
11. მერი მემარნიშვილი
12. მარი მენთეშაშვილი
13. ზურაბ ძლიერიშვილი
14. ზურაბ ფაღავა
15. ილია მესხიშვილი
16. ირაკლი აბესაძე
17. კახაბერ ლორია
18. დამანა მელიქიშვილი
19. ქეთევან ხუციშვილი
20. ცირა ბარამიძე
21. ნინო ლომოური
22. ავთანდილ აბდუშელიშვილი

სპიკერმა კ. ლორიამ გამოცხადდა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა (დანართი 1);
2. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის № 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (დანართი 2);
3. შპს "საქაგრომანქანასა" და თსუ სოხუმის ფილიალს შორის დადებული 2003 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულებაში (№ 1-793) ცვლილების შეტანა (დანართი 3);
4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა (დანართი 4).

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სპიკერმა კ. ლორიამ განაცხადა, რომ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით წინასწარი კონსულტაციები მიმდინარეობდა წესდების შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფსა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, რის საფუძველზეც მიღებული იქნა აკადემიური საბჭოს 2007 წლის 1 ნოემბრის დადგენილება № 59, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენიშვნები წესდებასთან დაკავშირებით.

აკადემიური საბჭოს დადგენილების გამოსაქვეყნებლად სიტყვა გადაეცა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს რექტორს გიორგი ხუბუას, რომელმაც პუნქტობრივად განმარტა აკადემიური საბჭოს 2007 წლის 1 ნოემბრის № 59 დადგენილება და ითხოვა მხარდაჭერა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გ. გოგსაძემ განაცხადა, რომ დადგენილების მე-4 ნაწილში, წესდების 36-ე მუხლის მე-5 ნაწილში

მითითებული უნდა იყოს "სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის *არანაკლებ* ერთ მესამედს".

სპიკერმა წამოაყენა წინადადება, რომ წესდების პირვანდელ ვარიანტში ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებებიდან (წესდების 31-ე მუხლის "ზ" პუნქტი) ამოღებულ იქნას დეკანის მოადგილეების დანიშვნის საკითხი და ითხოვა თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურის საბჭოს 2007 წლის 1 ნოემბრის № 59 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ერთხმად იქნა მიღებული ცვლილებები და დამატებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში.

2. სპიკერმა გამოაქვეყნა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის რექტორის გიორგი ხუბუას 2007 წლის 26 სექტემბრის № 4 წარდგინება და 2007 წლის 26 სექტემბრის № 45 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს № 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რაც ითვალისწინებს დადგენილების მე-8 პუნქტში ცვლილების შეტანას და ჩამოყალიბებას შემდეგი რედაქციით: "თსუ ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი".

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული 2007 წლის 26 სექტემბრის № 45 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ აკადემიური საბჭოს № 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გ. გალდავამ გააკეთა მოხსენება შპს "საქაგრომანქანასა" და თსუ-ის სოხუმის ფილიალს შორის 2003 წლის 20 თებერვლის გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში (1-793) ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ "მყიდველად"

ნაცვლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მითითება, ხოლო საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელზე რეგისტრაციის შემდგომ აღნიშნული ქონების სოხუმის უნივერსიტეტისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა გადაწყვეტილი 2003 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულებაში (1-793) ცვლილების შეტანისა და შემდგომში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სოხუმის უნივერსიტეტისათვის უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გ. გალდავამ გააკეთა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე და თანახმად "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლისა მოითხოვა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 15 ნოემბრის № 938/01-02-15-04 წერილში მითითებულ ობიექტების კანონით დადგენილი წესით სარგებლობის უფლების გადაცემაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა გადაწყვეტილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 15 ნოემბრის № 938/01-02-15-04 წერილში მითითებული ობიექტების კანონით დადგენილი წესით სარგებლობის უფლების გადაცემის საკითხი.

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურის საბჭოს 2007 წლის 1 ნოემბრის № 59 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ერთხმად იქნა მიღებული ცვლილებები და დამატებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში.**

2. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული 2007 წლის 26 სექტემბრის № 45 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ აკადემიური საბჭოს № 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".
3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა გადაწყვეტილი 2003 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულებაში (1-793) ცვლილების შეტანისა და შემდგომში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სოხუმის უნივერსიტეტისათვის უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა გადაწყვეტილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 15 ნოემბრის № 938/01-02-15-04 წერილში მითითებული ობიექტების კანონით დადგენილი წესით სარგებლობის უფლების გადაცემის საკითხი.

დანართი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 ლიწ 1 ნოემბრის № 59 დადგენილება, (8 ფურც.);
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის რექტორის გიორგი ხუბუას 2007 წლის 26 სექტემბრის № 4 წარდგინება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 26 სექტემბრის № 45 დადგენილება, (2 ფურც.);
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულნაზ გალდავას 2007 წლის 15 ნოემბრის № 937/01-02-15-04 წერილი, (3 ფურც.);
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულნაზ გალდავას 2007 წლის 15 ნოემბრის № 938/01-02-15-04 წერილი, (2 ფურც.).

წარმომადგენლობით საბჭოს
სპიკერი — კ. ლორია

სხდომის მდივანი — ს. ქვარცხავა

კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები.
ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით."

4. წესდების პროექტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 თავი:

"თავი IV

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის წესი

მუხლი 34. მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის ზოგადი პრინციპები

1. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნები ტარდება თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 35. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი
1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პირთ ნახევარზე მეტი.
2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან აირჩევა 12 წევრი, თითოეული ფაკულტეტი ირჩევს 2 წარმომადგენელს. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.
3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.
4. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას და განისაზღვრება 4 წლით.
5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევარის გასვლის შემდეგ.

მუხლი 36. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აირჩევა 4 წლის ვადით დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ამ ერთეულებზე წარმომადგელობითი საბჭოს არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.
2. წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში – საბჭო) წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.
3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობს ხმის უფლების მქონე პირთა 1/3 მაინც, ცალ-ცალკე, როგორც აკადემიური, ისე სტუდენტების რაოდენობიდან.
4. მიღებული ხმების დათვლა ხდება ცალ-ცალკე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.
5. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.
6. პროფესორისა და სტუდენტისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი ან/და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა.
7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.
8. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.
9. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი საბჭოს არჩევნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.
10. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
11. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
12. პირველ სხდომაზე წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სპიკერს. კენჭისყრას ატარებს დაწესებულების საარჩევნო კომისია.
13. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, დაწესებულების საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას, არჩეულად ჩაითვლება პირი რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლოის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

14. წარმომდგენლობითი საბჭოს სპიკერს ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან წარმომდგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით – 4 წლით.

მუხლი 37. რექტორის არჩევის წესი

1. რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პროფესორი. რექტორს 4 წლის ვადით ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენტენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.
2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 თვით ადრე. საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
4. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.
5. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

მუხლი 38. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.
3. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
4. პირი, რომელსაც ეკავა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის,

უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 39. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ამ წესდების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 40. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 41. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.
2. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. ფაკულტეტის დაკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური
3. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება

მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული დეკანის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

მუხლი 42. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრად შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოვლენამდე. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი."

5. წესდების ტექსტში ნაცვლად "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა" ჩაიწეროს "უნივერსიტეტი".

6. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ო" პუნქტი: "განსაზღვრავს მომავალი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საერთო რაოდენობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით".

7. წარმომადეგნლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი შინაარსის პუნქტი: „საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ყველა იმ საკითხზე გადაწყვეტილება, რაც წესდებით და კანონით არ არის მოწესრიგებული, მაგრამ მათ კომპეტენციაში შედის."

8. 28-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით".

9. 48-ე მუხლის I-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესში განსაზღვრული ვადით."

10. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტი წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.
2. უნივერსიტეტი მაგისტრატურაში მიღების წესს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის დებულება. უნივერსიტეტი დოქტორანტურაში მიღების წესს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დებულება."

11. წესდების ტექსტიდან ამოღებულ იქნეს ტერმინი "სწავლების მინიმალური სტანდარტი".

12. 63-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს, ფაკულტეტის წარდგინებით მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება პირს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი იმ მეცნიერებაში/მეცნიერებებში, რომელსაც ეს ფაკულტეტი წარმოადგენს".

13. 66-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "უნივერსიტეტი - შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში"

14. 67-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1. უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, ამ დაწესებულებისათვის კადრების მომზადებაზე, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
2. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:
ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
გ) კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
დ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
ე) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალები.
3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უნივერსიტეტის ფინანსები მთლიანად ხმარდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. უნივერსიტეტის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია."

15. 68–ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.
2. უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად უბრუნდება სახელმწიფოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად„.

16. წესდების ტექსტში ტერმინები „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“ შეიცვალოს ტერმინით „უნივერსიტეტი“.

II. წესდება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.

გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 59

"1" 11 2007 წ.

დადგენილება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების პროექტის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად:

I. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების პროექტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი – მაგისტრატურა – დოქტორანტურა), უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ფორმალური და არაფორმალური სახელობო, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება."

2. მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან, აგრეთვე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მნიშვნელობის სხვადასხვა საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო- სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან. 3. გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების შექმის ან გაუქმების შესახებ იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

3. 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ფაკულტეტების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია,

ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი 0128, საქართველო
1 Chavchavadze ave., 0128 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.ge
ტელეფონი +995 32 220241 Tel
ფაქსი +995 32 225107 Fax
ელ ფოსტა akademi@tsu.ge email

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 45

"26" 09 2007

დადგენილება

."ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს №26 დადგენილებაში ცვილილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს №26 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

I. „8. თსუ ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი".
II. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.

გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი 0128. საქართველო
Chavchavadze ave., 0128 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.ge

ტელეფონი +995 32 220241 Tel
ფაქსი +995 32 225107 Fax
ელ ფოსტა akademi@tsu.ge email

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№938/01-02-15-04

15.11.2007

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

გაცნობებთ, რომ სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სასწავლო კორპუსების №1; №2; №6; №10 (მაღლივი კორპუსი), ასევე ზანდუკელის ქ. №16-ში მდებარე შენობა-ნაგებობების უზუფრუქტუარს.

შესაძლებელია ზემოაღნიშნულ შენობა-ნაგებობებში არსებული ცალკეული ფართის სარგებლობის უფლებით განკარგვა მკაცრად განსაზღვრული მიზნობრიობით.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, **თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს,** შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას №1; №2; №6; №10 სასწავლო კორპუსებში და ზანდუკელის 16-ში ფართის იჯარის გაცემაზე, კერძოდ:

1. თსუ-ს სასწავლო კორპუსების №1 და №10-ში (მაღლივი კორპუსი) არსებული 2 კვ. მ. ფართის- იჯარის ფორმით გაცემაზე - 2 წლის ვადით, 1 კვ.მ –არანაკლებ 10 ლარის ოდენობით, ბანკომატების განსათავსებლად;
2. თსუ-ს №2 კორპუსში არაუმეტეს 60 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე – 2 წლის ვადით, 1 კვ.მ – არანაკლებ 10 ლარის

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128 თბილისი, საქართველო
p://www.tsu.ge; usc@tsu.ge

ტელეფონი: +995 32 220241
ფაქსი: +995 32 225107

ოდენობით; სტუდენტებისათვის საჭირო ლიტერატურის რეალიზაციისათვის, წიგნის მაღაზიის მოსაწყობად;

3. თსუ-ს №1 კორპუსში სპორტული დარბაზის - **307 კვ.მ.**; ამავე კორპუსში კალათბურთის დარბაზის - **600 კვ.მ.**; თსუ-ს №2 კორპუსის სპორტდარბაზის - **1098კვ.მ.**, თსუ-ს №10 კორპუსში (მაღლივი) - სპორტკომპლექსის- **846 კვ.მ**. ამავე კორპუსის მე-II სართულზე სპორტდარბაზის **-369 კვ.მ-ის** სარგებლობის უფლებით გაცემაზე (1 სთ-ში – 15 ლარის ოდენობით) – სტუდენტებისათვის სპორტული სექციების მოსაწყობად.
4. თსუ-ს №1; №2; №6; №10 სასწავლო კორპუსებში და ზანდუკელის 16-ში ჯამში 100 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე, 3 წლის ვადით, საიჯარო ქირა – თვეში არანაკლებ 1 კვ.მ-ზე- 10 ლარი- ქსეროქსის აპარატების განსათავსებლად;

ზემოაღნიშნულზე მოპოვებული გვაქვს თანხმობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან ფართის იჯარით გაცემაზე ქსეროქსის აპარატების განსათავსებლად;

თქვენს მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ კანონით დადგენილი შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზ გალდავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№937/01-02-15-04

15.11.2007

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალსა და სს "საქაგრომანქანას" შორის 2003 წლის 20 თებერვალს ნოტარიული წესით გაფორმდა გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრით №1-793). აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს (მყიდველს) გადაეცა უძრავი ქონება: შენობა-ნაგებობა №1 ფართით 6901,33 კვ.მ. და 30971 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 2872 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე ჯიქიას ქუჩა №9-ში (სადაც დღემდე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი). მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ფასის დაფარვის ვალდებულება დღეისათვის შესრულებულია, აღნიშნული უძრავი ქონების ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ სოხუმის ფილიალი 2003 წლისათვის არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის 31.07.2007 წლის №160 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, გამოეყო სოხუმის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის უნივერსიტეტი. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხი პირდაპირ კავშირშია სოხუმის უნივერსიტეტისათვის ლიცენზიის გაცემის საკითხთან.

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; usc@tsu.ge

ტელეფონი: +995 32 220241
ფაქსი: +995 32 225107

შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული ცდომილებისა თუ უზუსტობის გამოსასწორებლად და პრობლემის გადასაწყვეტად ნოტარიუს ქალბატონ მაია წიკლაურთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სოხუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, საგადასახადო ინსპექციის იურისტებთან ერთობლივი კონსულტაციების შედეგად შემოგვთავაზა წინადადება, არსებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით და "მყიდველად" ნაცვლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის მითითება, ხოლო საჯარო რეესტრში უძრავი ქონების, მესაკუთრის- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სახელზე რეგისტრაციის შემდგომ აღნიშნული ქონების სოხუმის უნივერსიტეტისათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა დადგენილი წესით.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, **თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს,** შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონების შეძენის მიზნობრიობა არ სცდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, ჩვენ მივმართეთ თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე ეკონომიკის განვითარების სამინისტროებს, 2003 წლის 20 თებერვლის რეესტრით №1-793 სანოტარო აქტში ცვლილებების შეტანაზე და "მყიდველად" ნაცვლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის მითითებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და შემდგომში მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის უნივერსიტეტისათვის გადაცემის მიზნით, რაზედაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მივიღეთ დადებითი პასუხი.

იმის გათვალისწინებით, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმით №5 17.02.2003 წ. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლითაც თსუ სოხუმის ფილიალს მიეცა თანხობა ქონების შეძენასთან დაკავშირებით, შემოვდივართ თქვენს წინაშე თხოვნით, საკითხის სამართლებრივად მოწესრიგების მიზნით, დაგვიდასტუროთ თქვენი თანხმობა 2003 წლის 20 თებერვლის რეესტრით №1-793 სანოტარო აქტში ცვლილებების

შეტანასთან დაკავშირებით და "მყიდველად" ნაცვლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის მითითებაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და შემდგომში მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის უნივერსიტეტისათვის გადაცემის მიზნით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზ გალდავა